

1935.

საბჭოთავი  
საბჭოთავი

# ქეობები



# 2

ს ა ბ გ დ ე ვ ჯ ბ ო  
- 1935

# 5

# „ოქტომბრელი“

## № 5

მაისი 1935 წ.

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საბ. განსახორციელებელი ერთობის შურნალი

მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7

### შ ი ნ ა ა რ ს ი

1. გაზაფხული—ი. მჭედლიშვილისა . . . . .	33-1
2. პირველი მაისი—დ. ბერეკაშვილისა . . . . .	1
3. საპირველშისო—ლ. კიქვიციანი . . . . .	2
4. სიმაგალითო—ალ. კოპალიშვილისა . . . . .	4
5. შენ რა გქვია?—ცქვიციანი . . . . .	5
6. პატარა მხერხავი—თამარ ოყრეშვილისა . . . . .	6
7. ბუნებამ გაიღვიძა—ნიკოლოზ შველიძისა . . . . .	8
8. შეჯიბრება ჯერ არ გათავებულა—შ. თაბუკაშვილისა . . . . .	9
9. ცისარტყელა—ხანდრო შლენტიანი . . . . .	10
10. ნუნუს დობილი—ქსენია სიხარულიძისა . . . . .	11

#### გ ა ვ ვ მ თ ა შ ე მ ო მ ე მ ე ლ ა

11. პირველი მაისი—ნინო ლაიშვილისა . . . . .	14
12. „გმირი კიანჭველა“—მ. ცალხელიშვილისა . . . . .	14
13. უამინდობა სოფელში—შოთა გაგოშვილისა . . . . .	15
14. მელიას თავგადასავალი—ვახტანგ ჯაჭვამიძე . . . . .	15
15. გაზაფხული ნ. ბალოშვილი . . . . .	15
16. ცოცხალი დათვის ტყაი—გ. ლომთათიძე . . . . .	16
17. გასართობები. ყდის მე-3 და მე-4 გვ. . . . .	

ყდა და ილუსტრაციები შესრულებულია მხატვარ გ. კახიძის მიერ

**სარედაქციო კოლეგია:** ლილა ხახვიანი, გიორგი კახაიძე (პ/მგ. რედაქტორი), ან. ლპინიაშვილი, შალვა თაბუკაშვილი, ცქვიციანი, ნაღ. საბახტარაშვილი, ხანდრო შლენტი (პ/მგ. მდივანი).



გატყდა უტეხი ლიბო ზამთრისა,  
ქუსს გაზაფხული მძლედ და ხმაილლად  
და ყინულშია რომ ვარდი გასრისა,  
გადაიფურჩქნა იგივე ახლიად!

მთებს თეთრი წვერი ჩამოეწუნა,  
წყარო ზღვებისკენ მიამტკრევს ხუნდებს,  
და მზემ ისეთი დღე დააფუძნა,  
რომ დიდხანს, დიდხანს აღარ ვახუნდეს!

**ი. მამდლიშვილი.**

## პირველი მაისი

1754.  
დღეს პირველი მაისია,  
დროშებს არხვეს სიო წყნარი  
ქეთომ დროშა დაიქირა,  
გამოცტა სახლის კარი.

გამოვიდა ეზოს გარეთ,  
იქ შემოხვედა ცელქი ირა,  
მასაც დროშა პაწაწინა  
მარჯვედ ხელში დაეჭირა.


მიესალმა ცელქი ქეთო,  
ჩამოართვა ირას ხელი  
და უამპო ალტაცებით  
რაცა ჰქონდა მას სათქმელი.

— იცი, ირა, მე რას გეტყვი?!  
მოვიფიქრე მხოლოდ ასე:  
ჩვენც წავიდეთ მოედანზე  
სიხარულის გრძნობით სავსე.

ხალხთან ერთად გავიაროთ,  
არ შეიტყო მხოლოდ დალლა,  
ვიზეიმოთ ეს მაისი  
ვაფრიალოთ დროშა მალა.

— კარგი არის, თანახმა ვარ,  
უკან მივყვეთ ჩვენზე დიდებს!  
თქვეს ესა და პატარები  
შეუერთდენ ხალხთა რიგებს.

**დ. ბერიძეშვილი.**





# საქართველოს

## 1.

მე წელს ჩამოვედი ტფილისში. აქამდის სოფელში ვიყავი. ქალაქი სულ სხვანაირი ყოფილა. აქ მუდამ გამოაწყობილი ხალხი დაიარება. ქუჩები ხალხითაა გაქვდილი, თითქოს ყოველდღე დემონსტრაციაა გამართული.

ტფილისს ბევრი თავისებური თვისება ჰქონია. მე საღ შემიძლია ყველას ჩამოთვლა...

ჯვარედინ ქუჩებზე გაქმული მილიციონერები დგანან. ისინი წალმა-უკულმა ტრიალობენ, აქნევენ ხელებს და ქუჩაში ავტომანქანების მოძრაობას აწესრიგებენ. ქალაქი ზემ სოფელსაც კი ეახლოვება, მაგრამ იქ არც ამდენი ხალხია, არც ასე დიდი სახლებია და არც იქაურმა მილიციონერებმა იციან ასე სწრაფი ტრიალი და ხელეზის კოხტად ვაშლა.

ტფილისში რომ ჩამოვიყვანა მამამ, დღე იყო, დილის ათი საათი იქნებოდა. ქუჩები ხალხით იყო გაქვდილი. ხალხი მიდიოდა, მიდიოდა და მაინც არ იღვოდა. მე დიდხანს ვუყურე ხალხის დაუსრულებელ დინებას და მერე ვაკვირვებთ წამოვიძახე:

—მამა, მამა!

ვეძახოდი მამას, მაგრამ რაც უნდა შეკითხვა, ის კი მაიწყებოდა.

—რა იყო, ვალიკო?

მამის ხმამ უცებ გამომარკვია. ხალხის დაუსრულებელ დინებას თვალი მოვწყვიტე და კითხვა დაემათავრე:

—დღესასწაული ხომ არაა? რამდენი ხალხი გამოსულა. მამამ გაიკინა, მე კი შემრცხვა, ლოკები და ყურები ამიწითლდა.

—არა, შვილო, ეს ტფილისია, დიდი ქალაქია. ეს ქუჩები მუდამ ხალხითაა გაქვდილი.

—ბა დღესასწაულის დროს სულ ვეღარ გაივლის ადამიანი.

—მაშ როგორ გვანი... თუმცა დემონსტრაციები ძალიან მოწესრიგებულია.

—მიეცებოდით ქუჩებს, მარცხვლად მამა და თანდათან მიხსნიდა ამ დიდი ქალაქის თვისებებს. მე ისევ სოფელი მომაგონდა.

—მამა, ერთი ესეც მითხარი, სოფელში რომ ფეხშეველა და პერანგისამარა დაერბოდით ისე სიარული აქ შეიძლება?

—არა, აქ როგორ შეიძლება ფეხშეველა სიარული, აი, ხომ ხედავ, როგორ დაიარება ეს ხალხი.

—უჰ, რა ჩამაცმევს ყოველდღე ფეხს, —გავიკვირე ესეც და უთვალავ ხალხში მეც ვიყავი გარეული და მივსდევდი მათ დინებას თითქოს ძალაუნებურად.

## 2

კარგახანი გავიდა.

მამა ისევ სოფელში დაბრუნდა. მე სკოლაში დაიწყო სიარული, ტფილისს შევეჭვინე და აღარაფერი მაკვირვებს. ხშირად მაგონდება ჩემი სოფელი, გაზაფხულობით იქ ძალიან კარგი დარბები იყო. ეზოებში მწვანე მოლი ამიბინდებოდა დერბოდი მოლზე და თითქოს ფეხქვეშ ფაფუკი რამ იყო გაფენილი. ო, როგორ მახსოვს ალორთქოშებულ ბალახებში გორიობა.

სოფელში გაზაფხული სუფთა და კისკისია. ტფილისში კი ხელათ ადგება კორიანტელი, თუ წვიმა არაა, მაგრამ ქალაქს იცავენ მტერისა-

გან. ქუჩებში დაიარებიან კაცები, დათარევენ რეზინის მილებს და ნატანტარის წყლით ასხურებენ აქეთ-იქით. რა ვასაოცარი ჭავლი აქვს ნატანტარს, ძალიან შორს ასხამს. ასფალტსა და ქვებზე სულ შხაფაშხუფით ესხმება.

ტფილისი დიდი ქალაქია. მთელი არემარე სახლებითაა გაქედლი, მაგრამ მაინც მრავალი ბაღია, ქუჩის კიდებზეც დიდი ხეებია და მწვანე მთლი ბიზინებს. ტფილისში რომ ეს ბაღები და ქუჩის დამამშვენებელი მცენარეები არ იდგეს, მაშინ ვაზაფხულის მოსვლას ვერც კი გაიგებდა ადამიანი, თუ მწველ სიტყვს არ მიატყვედა ყურადღებას.

კარგი სანახავია რუსთაველის პროსპექტი; თითქოს აგარაკია, თითქოს ხეივანში მიდიხარ. ქუჩის ორივე მხარეს მაღალი, ძალიან მაღალი შენობებია ჩამწყრივებული, კედლები მეტად ფაქიზია და ღამაზად ქათქათებენ.

წინათ ტფილისი ბურჟუაზიული ქალაქი ყოფილა. ბურჟუები ფუფუნებაში ატარებდნენ დროს. მუშები შეწყუბებულნი და ვალაჯულნი დაიარებოდნენ ტფილისის ქუჩებში. ღიპიანი ვაჭრები დასკინოდნენ ამ არაფრის მქონე მუშებს.

მუშებს თავისუფლება უნდოდათ...

მუშებს პური უნდოდათ...

ამიტომ ებრძოდნენ ტფილისელი მუშები ტფილისელ ბურჟუებს. მუშები ხშირად იფიცებოდნენ, აწყობდნენ დემონსტრაციებს. მაგრამ ყველაზე დიდი დემონსტრაცია საპირველმისოდ იმართებოდა, ისინი, თურმე, ააფრიალებდნენ წითელ დროშებს, ფანტავდნენ საპროტესტო ლოზუნგებს. მაშინ ქვეყანასმეფე განაგებდა. მისი მოხელე სისხლის მსმელი ჯალააზები გამოკვივდებოდნენ კრილა ხმლებით, ხოცავდნენ მუშებს და ხმლების მუქარით შლიდნენ დემონსტრაციასო.

ტფილისში რომ პირველი საპირველმისოდ დემონსტრაცია გაემართა, იმ დემონსტრაციის მონაწილე ბევრი მუშა ახლაც ცოცხალია.

მე არ მახსოვს ეს ამბავი. იგი მამანემს თუ ემახსოვრება, მაგრამ იმას ტფილისში ვინ ჩამოიყვანდა? ახლა ეს თითის სიგრძე ბიჭიკ კი ჩამოველი ტფილისში და უამრავი, შთაბეჭდილება მივიღე.

ხვალ პირველი მისია. ჩვენებური მუშები ქუჩებში სიხარულით გამოვიდნენ. იქ კი, ჩიკაგოში, მერიკის ქალაქი რომ არის, სხვათაგან რამდენიმე ათეული წლის წინათ გაწყვიტეს გაფიცული დემონსტრატი მუშები, ახლაც ბურჟუები ბატონობენ.

3

30 აპრილს ქუჩებში გამოვიდეს წითელი დროშები.

ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჩქარა მინდოდა ხვალინდელი დღესასწაული მენახა. ქუჩებში აწყობდნენ ტრიბუნებს. მიხვდო, რომ მეორე დღით ტფილისში ენახავდი არაჩვეულე ბრივ დემონსტრაციას, იგი ჩემთვის ვასაოცარი იქნებოდა.

მოვიდა დამე.

მოწმენდილი ცა იყო. ტფილისიც კაშკაშებდა, თითქოს ვარსკვლავებით მოქედლი ზეცის ფოტოსურათი იყო. ჩვენმა ტფილისმა თავისებური ნათელი ღამე იცის. ამას მე აგერ რამდენიმე თვეა შევიწყვიე. საქართველოს ამ დიდი ქალაქის შინაური ვავზდი და ბევრი ქუჩა ვიცი.

პირველი მისის წინაღობით ჩვეულბრივზე ცოტა გვიან დავიძინე.

ვინ მოთვლის, ძილში რამდენი რამ ვნახე! საღ შემძლია ყველას მოგონება და ჩამოთვლა! ხან ქუჩაში გამართულ მწყრივს მეც მოვდევდი და მივჩანალებდი სხვებთან ერთად, ხან ვფრინავდი, ვაქნევიდი ხელებს ფრთებივით და სახლიდან სახლზე ჩიტივით დავფრინავდი. ამ სიზმართან მომაგონდა, ერთხელ დედამ რომ მითხრა:

— შეილო, სიზმარში რომ ვაფრინდები, ეს გაზრდის ნიშანიაო.

მე ახლა მეცინება, მაინც რაღა პირველი მისის ღამით ვაგიზარდე?

მერე ვითომ აეროპლანში ჩამსვეს; ჯერ შევეკრათი, ვადმოვარდნის მეშინოდა, მაღლა რომ ადლოდა, მაგრამ მერე სივრცეში გაწვა, ტფილისი ჩვენს ქვეშ მოექცა. იმედი მომეცა, ხეზოდან ვუკერდი, თუ როგორ ირეოდა ხალხი ქუჩებში...



თურმე გათენებულა, და მე კი ტბილ სიზ-  
მრებში ვცურავდი.

—ბიჭო, ვალიკო, გაიღვიძე, —ჩამესმა სიზ-  
მარში ბიკოლაჩემის ხმა და თანაც ხელის შეტება  
ვიგრძენი. უფერად შეეხტა, გავახილვე თვალი:  
და აეროპლანში კი არა, ლოგინში ვიყავი  
გაშოლტვილი.

## ს ა მ ა გ ა ლ ი თ ო

მზე რომ ამოვა, აღგება მაშინ,  
ჩაიცივას ტანს და დაიბანს ხელბირს,  
ისაუზმებს და წიგნებით ხელში  
გზას სკოლისაკენ გაჰყვება ცეკვით.  
იციის დროულად სკოლაში მისვლა  
და მეგობრების სწავლაში შევლა,  
თვით პირველია და მუდამ წინსვლით  
გაკვეთილებზე ის სულ არ ღელავს.  
არც წესრიგს არღვევს და არც თავხედობს,  
ყველგან, ყოველ მხრივ ძლიერ კარგია.  
ბურთაობაშიც მას რომ შეხედოთ,  
იტყვიით რომ მართლა აქაც მარდია.  
მან იცის: როდის, სად რა სჯობია.

—უპ, დამგვიანებია! — წამოვიძახე, საბარბო  
გვერდზე გადავწიე და ხელად წამოვხტი.  
მოვიწყვე ხელი და სკოლისკენ გავექცევი  
დაგვიანებული მეგონა, მაგრამ მაინც აღრე  
მივედი. ჩვენი სკოლის დროშები და პლაკატები  
შეუერთდა სხვებისას, და ტალღასავით მივ-  
დიოდით ქუჩაში.

—ოო, რამდენი დროშა იყო, ბავშვები  
ხეებზე ასულიყვნენ, ბუდეებით იყვნენ ჩონ-  
ჩებში ჩამსხდარი. მაღალი სახლების ფანჯრები  
მთლად აღამიანთა თავებით იყო გაქვილი,  
სახურავებზედაც იყვნენ ასული და იჭიდან  
დასცქეროდნენ ქუჩებში გამართულ მწყობრ  
დინებას.

ქუჩებში მოწყობილ ტრიბუნებზე იდგნენ  
პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები,  
ისმობა მქექარე ლოზუნგები და ერთის ხმას  
მოჰყვებოდა მასის ერთბაში გუგუნნი და „ვაშას“  
ძახილი.

ლავრა ზინინაძე.

ან რის შემძლეა ტემპები ჩქარი.  
და მეგობარს რომ შეჯიბრებია,  
აფასებს დიდად შესწავლის ხარისხს.  
მოვა სახლში და ისრულებს წაიღის:  
კითხულობს წიგნებს, ჟურნალს და გაზეთს.  
არც კრებებს ტოვებს, ყოველთვის დადის  
და შიგ ჯგუფიდან გადმოშლის აზრებს.  
ყველა ამისთვის მადლობა უთხრებს...  
თუმცა სკოლაში ბევრს შეხვდა ჯილდო  
მაგრამ ეს იყო იანვრის ხუთმეტს  
პირველია შორის საშავალითო.

ალ. კოკალაიშვილი.



გახუხულდა. ვენახებში თეთრად გადაბენტილ, კეკლუცად მოქარგულ ხეხილებს ფუტკარი დახვევია, განუწყვეტლივ ბზუიან. გარეთ ფრინველების ტყილ-ხივილი სმენას ატყობს და შინ კი წიწილების წყნარი ქუქკუჯი გულს ახალისებს. აგერ ერთი თამამი ქულა წიწილა დედა კრუსს დაცილებია და სათონის შუაგულში კიანჭველას გამოსდგომია.

თან ეშინია და გაუბედავად თავს დასტრიალებს. ჯერ გამოუტყდელია და სულელი. მან მხოლოდ გუშინ გამოტყვა კვერცხი.

გუშინ იხილა მზის სინათლე, დედასთან გაშრა, გამოიშუშა და დღეს კიდევ ნადირობს. ხამია პაწია წივილა: ყველაფერი რომ უხარია, მაინც ყველაფერი უკვირს და ეშინია.

აგერ გაღებულ კარებთან წიწილას რაღაც საშინელი ხმა მოესმა და უცებ გაშტერდა.

ბროლივით თეთრი გაპუნტული ორი კვირის ღვევი ფეხების ჩლატალოტით სათონის კარებს მოაღდა. ჯერ იქვე ღირესთან ფეხმოტეხილივით უცებ ჩაცუცქდა, პაწია თათი კისერთან ძლივს მიიწვდინა, ოოლი ღრენით წაიფხანა-წამოიფხანა, შემდეგ ისევ სწრაფად წამოდგა და სათანეში დაბარებულევით შემოიჭრა.

ამ ქვეუნის ორი ახალი სტუმარი ერთმანეთს კარებთან შეხვდა და ორივე ძლიერ გაოცდა.

ბროლია უკანა ფეხებზე კობტათ ჩაჯდა და ოდნავ კისერმოპრეცილმა წიწილას ცქერა დაუწყა.

წიწილამ ჯერ თვალი გაუშტერა და მერე გაკვირვებით შეეკითხა:

- შენ ვინა ხარ?
- მე? მე ბროლიას მეძახიან. შენა?
- მე დედიჩემის შვილი ვარ!
- უი, რა ლამაზი და რა პატარა ხარ! არ შეიძლება ნასახლარში ერთად გავისეირნოთ? წიწილა შიშით შეტოკდა და ოცბა უკან დაიწია.

— არა, მეშინია, შენ რაღაც დიდი ჩანხარ და ბურძღლიანი.

— რისა გეშინია?! მე ყველაფერი მიყვარს და მომწონს. ისე ვასინჯე, ჩენი ავი ბებერიც, თუმცა იმან დილას მცემა და გარეთ გამაგლა,

მაგრამ სამაგიეროდ ჩუსტი მოვსტყე და ნასახლარში შევიწახე. წამო, ვანახო!... ისეთი გემრიელი იქნება, ისეთი, რომ...

ბროლია სიხარულით აცმუტდა, კული კობტად აათამაშა და ყურები შეიბერტყა.

- უი, რა კარგი ხარ, რა ლამაზი ხარ!
- წია, წია! მეშინია, მე დედა მინდა! წია, წია!

წიწილამ პაწია ნისკარტი დაალო და ზარით დაიწკრილა.

ბროლია კი მთლად გადირია.  
— ოი, ოი, ოი! თვალთ არ ჩანხარ და რა ხმა გქონია, ყურები მთლად გამიკვდე! ყოჩაღ, ყოჩაღ!

შეჰყეფა სიხარულით ბროლიამ, აქეთ-იქით გახტა-გამოხტა და წიწილას უფრო თავზარი დასცა.

— არა, არა, შენ ისე ძლიერ მომწონხარ, რომ უსათუოდ ჩემი ამხანავი უნდა გახდე. ამა წამოდი ჩვენ ნასახლარში, იქ იმდენი ძვალი ყრია, იმდენი კუბრინი ტყავი, რომ... ჰაუ ჰაუ, ჰაუ! — ცელქად ყეფდა ბროლია და შეშინებული წიწილას გარშემო თავგამოდებით ცმუკავდა.

— წია, წია! — დაიწვილა კიდევ წიწილამ და ამ წივილზე საბუღრიდან გადმოვარდნილ, გაცეცხლებულ კრუხის კუტკუტზე სწრაფად გაქანდა.

სამუღარში მარტო დარჩენილი წიწილები ერთხმად აწიკდენ. ბროლია ამ საერთო წივილზე უფრო ძლიერ გაგულისდა, შეხტა, კობტად შეითამაშა და კალათისაკენ გაქანდა.

გაცხარებული კრუხი ყალყზე დამდგარი ბუმბულით ბროლიას გამოედევნა.

მაგრამ სულელმა ბროლიამ რა იცის კრუხის გააგება რას ნიშნავს?

ლექვმა ცეცხ-კუნტრუშით კალათს რომ შემოუღრბინა და ალტაცებით იმოღვნა წიწილებს ცალი თვალთ რომ ჩაუკირკიტა, ამდროს ლექვს ქოჩორში ეძგერა გააფთრებული კრუხი, და წუთით ისეთი საშინელი ღრიანცელი შეიქნა, რომ სახლში ყველა დააფორიაქა.

- აქმა, აქმა!
- გაისმა აქეთ-იქიდან შინაურების ხმა.
- აქმა, შე ვერანო!

სკოლისაკენ გამზადებულ თანდღობს ხმაღ მოისმა და გაჯავრებულმა ბიჭმა კრუხს ჯგობიღ შემოუქნია!

—ჰო, ახია, ახი! სწორედ ვგრე მოუხდებმა მაგ შეჩვენებულს! დილას აქეთია მაგისმა ბო- დილამა აიკლო აქაურობა, ხან რძის ქვებში თავი ჩამიყო. ხან ჩუსტი მომტაცა, ახლა კრუხს შემოუვარდა... ჰე! ვენაცვალე განჩენს, მოგელო კარგად თუ არა! გასწი, დაიკარგე აქედან! წაუტია კალთებწამოკარწახებულმა დიდედამ და ისედაც აკვნსებულ ლეკვს ხელში შერჩე- ნილი ქაფქირი მოუღირა.

—ჰა, დიდედა, ხელი, თორემ გაჯავრებული იმ შენ კრუხს ნამდვილად თავს წავეკლეგ. თვალი რომ გამოეთხარა, მერე ხომ კიდევ მოგიკლავდი!


გამოეჭომავე თავის მეგობარს პატარა თანდო- ლა, ბროლიას ხელი დააელო, გულზე მიიხუტა და გარეთ გამოსწია.

კრუხმა საბუღარში კიდევ მოიკალათა, ქორთა წიწილებს ახლა სულ სხვა ხმაზე დაუ- გურგურა, და დაცარიელებულ სათონში ისევ ყველაფერი მიწწენარდა. მხოლოდ წელანდელი დაუიდარაბის მიხეზმა, პაწია ქულა წიწილამ დედას ჯერ ჯიბლიბო დაუწიწენა, მერე გაქანდა, ზურგზე შეახტა და რალაც სიმღერა ხალისი- ანად გააბა.

—კრუხ, კრუხ!—ამხვევებდა კრუხიც და ღია ფანჯარიდან აფევებულ ვაშლის შტოდან ძირ დაკიდებულ მსხვილ მატლისაკენ ცალი თეა- ლით იმხირებოდა.

მეჩინი.

# კატარა მხერხავი



დღეს ნათელას დღეობაა, ამანაგები შეგრო- ვილან მასთან, სასტუმრო ოთახში ისმის მზიარული სიცილ-კისკისი. ლუმელში წიფლის შეშა ტაკუნებს, თბილა. ნათელას უფროსი და ლეილა დედას ეხმარება ჩაის გაწუბაში. პატარა გურამი კი გაჯავრებულია.

—რატომ ჩემთვის არ მოაქვთ საჩუქრები? —ამბობს გაბრაზებული და ხან ერთ ბავშვს დაეტა- კება თავით, ხან მეორეს. გურამი ისეთი ჩასკე- ნილი და ღონიერი, რომ ეზოს ბავშვებში ყველას სჯობნის ღონით, ამიტომაც შეარქვეს «გურამ ფალავანი». ზარის დაწკარუნებაზე ყვე- ლაზე წინ ის გარბის, კი არ გარბის, მიგორავს ბურთივით.

აი, გაისმა ზარის წკრიალი, ლეილა გაიქცა კარებისკენ.

მე გაეღებ, დედა!—აღრიალდა გურამი, რად- გან შეაძნა ლეილას ვეღარ მიასწრებდა.

—შვილო, შენ ხომ ვერ სწვდები გასაღებს, დააწყნარა დედამ გურამი.


—დეიდა თამრო და დეიდა ქეთო, თქვენი ქირიმეთ! — შემოეცენა ყელზე სტუმრებს ლეილა. ნათელაც მათკენ გამოქანდა. გურამს შეეშინდა დებს არ ჩამოვრჩეო, ორი ნახტომით გაიწდა დეიდა ქეთოსთან. მკლავებზე ჩამოეკიდა, მუხლებ- ბი გულზე მიახვინა და იქვე სკამზე ჩამოჯდომა რომ არ მოესწორო სტუმარს, ძირს გაიშხლართე- ბოდა.

—ეს არის, ბიჭო, შენი ალერსი?—უსაყვე- ლურა დედა.

კინაღამ წააქციე დეიდა.

სტუმრებს საჩუქრები მოეტანათ სამივესთვის: ლეილას მწერალ მოსაშვილის პოემა «როზვა ჩაფარი» შეებდა, ნათელას წითელიბიბლოიანი მამალი, მგრამ გურამის სიხარულს საზღვარი





აღარ ჰქონდა, როცა დეიდა თამარამ წამდელილი ხერხი გადასცა მას.

მთელი საღამო ყურადღება აღარ მიუქცევია ბავშვებისათვის, იჯდა კუთხეში და ხერხს აჭეთიკით ატრიალებდა, ხან კბილებს უსინჯავდა, ხან გაბმულ თოკს სწევდა — კარგად არის თუ არა დაკვიპულიო.

— მამიკო, ნახე, დეიდა თამარამ რა მომიტანა! მივარდა თვალზე გაბრწყინებული გურამი ლექსიციებიდან დაბრუნებულ მამას.

— ჰო, კარგია, შვილო, დღეიდან მხერხავის დაქირაება აღარ დაგვიკრძალავს, შენ დაგვეხერხავ შეშას, უთხრა გიორგიმ თავის ვაჟს.

— დაგვეხერხავ, მამა! — ამყარ მიუგო გურამმა და გოგოებს გადახედა, თითქოს ეუბნებოდა: თქვენ რა შეგიძლიათ გააკეთოთ, აი, შე ხერხიც მაქვს და ხერხეც ვიციო.

— მთელი ღამე მოუსვენრად ეძინა, ხერხიც გვერდით ეღო. ესიზმრება გურამს, ვითომ მხერხავია, დაღის ეხო-ეხო და ყვირის: „მხერხავი ვის გინდაათ?“ აი, ერთ ადგილას დაუძახეს, შევიდა, გადმოიღო ხერხი და რას ხედავს? ორი ვიწრო ჯოხი გაუდევს მხარზე. ვინ შეუტყავლა? ამას წამდელიად ნათელა იხამდა... აღრიალდა გურამი.

— შეილო, რა დაგემართა, რად ტირი? — წამოვარდა ლოგინიდან შეშინებული დედა.

— ხერხი, ჩემი ხერხი... სლუკუნებდა გურამი.

— აგერ არის, შეილო, გვერდით ვიდევს... ძლიერ დააწყნარეს გურამი.

— გათენდა. ოთახში სინათლე შემოიჭრა. სარკლიდან ფოთლებ გაცეცილი ხის ტოტი ჩანს

თოვლით გაბუმბლული და ამ ტოტზე გურამის ბელურა ზის აბუზული. სიცივით კანკალებს ბელურა და ელის, როდის გააღებს გურამი სარკმელს და საყენეს გადაუყრის. გუშინ ნათელას დღეობაზე ებატებოდა: მოდი, ბევრი ტკბილეულს ვაქმეო, მაგრამ ეს გუშინ იყო, დღეს კი გურამს შისთვის აღარ სცალია, დღეს ბევრი საქმე აქვს, მამამ ტყუილად ხომ არ გამოუცხადა გუშინ საღამოს ნათელას ამხანაგებთან და სხვა სტუმრებთან ნღობა.

— ჭკვიანად იყავ, გურამარ იცელქო, — აკოცა დედამ და საშხაურში წავიდა, თან ლეილა და ნათელაც გაჰყვეს, იმათაც იქით აქვთ სკოლა.

მამიდა ნატოც სანოვაგის საყიდლად წავიდა. დარჩა გურამი მარტო. აი ახლა უნდა გაივარჯიშოს ხელი, რომ მერე შეშა კარგად დახერხოს.

— მოდი, ჯერ ჩემ პატარა სკამს დაგვეხერხავ — ამბობს გურამი. ოცი წუთის შემდეგ კოხტად დახერხილი სკამის ნაქრებს ერთ კუთხეში ალაგებს. — ახლა დიდ სკამს დაგვეხერხავ, მამას კაბინეტში რომ დგას. ფიჭვი და ასრულება ერთია, ბევრი წილაღობილა არ იცის გურამმა, მაგრამ სკამი მძიმე აღმოჩნდა, სასტუმრო ოთახამდე ვერ მიიტანს, არადა კაბინეტში შესვლას მამა უკრძალავდა გამობრუნდა უკან გულ დაწყვეტილი გურამი.

— სასტუმრო ოთახში კი განა კოტა სკამები დგას? შიადგა გურამი საშუშაოს, ხერხავს და ხერხავს, დაიღალა ხენეშის, ოფლი ჩამოსდის შუბლზე, ლოყებზე, მაგრამ ერთი სკამის მეტი ვერ დახერხა ჯერ.

— დაიზღაგვა, კბრლები უნდა გაუღესო, ამ ბოზს გურამი და ჭვასანაცხეძებს: მამიდა ნატო, ხომ ჭვასანაცხეღესავს დანას...



ნამდილო ბრძოლის ველს წარმოადგენს სასტუმრო ოთახი: ფეხებ მოხერხილი სკამი უმწეოდ გლია იატაკზე, დანარჩენები კი ჯერში ჩაუმწყრივებია გურამს.

— უიმე, ამის რა ეხედე! — შენდილო კარები მამიდა ნატომ. — გურამ, ეს რა ჩაგრიგენია? — შეტყეირა მან.

შემას ეამზადებ ზამთრისათვის მისი მამის უპასუხა გურამმა, მაგრამ, როცა ნატოს შეწუხებული სახე დაინახა, თავის ნამოქმედარს გადახედა და ვერ გაეგო, რა იყო აქ შესაწუხებელი.

— დაიცა, მოვიდენ დედა და მამა, როგორ გაგიჯავრდენ! რა ექნა, რა მოეუხებო ამ ბავშვ ასეთი ცელქობა გავონილა! — წუწუნებს ნატო. გურამი ჩაფიქრდა. იმდენი იმუშავა და მადლობის მაგიერ რას ეუბნებია? საკვირველია, რატომ ჰგონია მამიდა ნატოს, რომ დედა და მამა გაუჯავრდებია?

თამარ ოსრაშიძე.

# ბუნებამ გაიდვიდა



თოვლი ძლიერ შეაშფოთა გაზაფხულის მოსვლის დარდმა, თავის დედის, ზამთრის, წასვლით ატირდა და ცრემლად დადნა.

ცივ ცრემლებით ჩაჰობანა, მინდვრები და მთების გული, ხმა მიეცა ჩვენ მდინარეს, მიქუბს ხევში ამღვრეული.

გაზაფხულმა გააღვიძა, გააცოცხლა მთა და ბარი, აგერ სახლითან ხბო კუნტრუშებს მზის სხივებით წელგამთბარი.

ველ-მინდვრებზე მოქარგული ფარდაგები მოეფინა,

ფრინველები კვლავ გვესტუმრენ, არ დატოვეს ძველი ბინა,

და ფუტკრებმაც ინახულეს ყვავილები მრავალფერი, წვენს წუწნიან თაფლისათვის, ფეხებით კი მიაქებ მტვერი.

ხეს კვირტები დაუმსხვილდა, ახლა ლამაზ ფოთლებად შლის, სიხარულის გრძნობით სავსე ტყიდან სტვენა ისმის შაშვის.

მიწას ასდის ოხშივარი, მზე მუხრვალედ აობობს ველებს, ტრაქტორებმაც შავი ხნულით მიწის პირი ააპრეულეს.

ნიკოლოზ შვილიძე.

# შეჯივრება ჯერ არ გათავაზულა!



საქართველოს  
წიგნების კავშირი

პატარა რეზო, ჯერ რვა წლისაც არ არის მაგრამ გრძელი შარვალი აცვია, ჯიბეებში ხელეშაწყოებილი ამაყად დადგება ხოლმე.

დიდი კაცია, ნუ ეხუმრებით!  
საბავშვო ბაღს ათავენს, მეოთხე გჯუფშია...  
მაშ რა გგონიათ!  
სულ მალე ოქტომბრელი გახდება.  
მოუთმენლად ელის ამდროს...

\* \*

გაზაფხულია. მისი ახლოვდება — მზიანი, მშვენივ, ხალისიანი მისი...

ახლოვდება დიდი დღესასწაული პირველი მისი, მთელი ქვეყნის მშრომელების დღესასწაული...

სამსახურიდან დაბრუნებულ მამას კარებში ეგებება რეზო.

— მამა მამა, ლექსი უნდა დამიწერო, მასწავლებელმა მითხრა, მამაშენმა დაგიწეროს ლექსიო, პირველ მისს უნდა წაეკითხოთ! — სხაპასუბით დააყარა რეზომ.

— რა ლექსი, ბიჭო, დამაცალე, დაღლილი ვარ, — ღიმილით უთხრა მამამ.

— არაფერი არ ვიცი მე, ლექსი უნდა დამიწერო, ისე ვერ წავალ საბავშვო ბაღში...

— ჰო, კარგი, კარგი, ენახოთ...

— დამიწერ, დამიწერ! ვიცი, რომ დამიწერ!

— და გახარებული გავარდა ეზოში, საიდანაც მალე გაისმა ხმა:

— ბი-ბიი! ბი-ბიი!

ეს რეზო — ავტომობილია, დარბის, ჩამოეცალეთ, არ გაგიტანოს...

\* \*

საღამოა. მაგიდასთან ზის რეზო, ფანქარს კბილებს უჭერს, და დაფიქრებულია. ხანდახან რაღაცას დაწერს, შეჩერდება, ისევ კბილს უჭერს ფანქარს, რაღაც აწუხებს, ფიქრობს და ვერც ფიქრობს.

იქვე ზის რეზოს მამა, მუშაობს, გამალებით წერს.

— მამა, მისის სასწაული არ შეიძლება, ხომ? დღესასწაული უნდა, არა?

— რაო, ბიჭო? რას წერ?

— არაფერს... რა კენი, დაწერე ლექსი! — ეკითხება რეზო.

— რა ლექსი? ჰოო, არა მცალია, ხვალ გამახსენე.

— ხვალ არ ვიცი მე, ახლა უნდა დამიწერო მეც ვწერ ავერ.

— რას წერ, რას ამბობ?

— რას ვწერ და ლექსს ვწერ! შენ თუ წერ, მე ვერ დაწერ თუ? აბა გამეჯობე!

მამას გაეცინა და გადაწყვიტა შეილის თხოვნა შეესრულებია. სხედან რეზო და მამიმისი, ერთმანეთს ეჯიბრებიან ლექსის დაწერაში...

რას იზამ!

კოტა ხნის შემდეგ რეზო კითხულობს მამის მიერ სახელდახელოდ დაწერილს...

## მოგავალი ოქტომბრის სიხლად

ეს მისი მშვენიერი

ოჰ, რა კარგია!

პატარებიც ზემომენ,

ბტიან დარბიან!

ავერ წყობრად გამოსულან

ოქტომბრელები,

წითელ დროშებს აფრიალებს

მათი ხელები!

ზემიია, მოქარგულა

მთილად მინდორ-ველი,

მეც ოქტომბრელი გავხდები,

სულ ამას ველი!

სახლში ჯდომამ ატყერო მშრომელს

დღეს არ არგა,

ვიზეიმოთ, ვიზეიმოთ,

ოჰ, რა კარგია!

კითხულობს რეზო... რაღაცას ფიქრობს...

— აი, მეც დაწერე, — და მამას აძლევს ფანქრით ნაწერს, აქა-იქ წაშლილს.

გაღიმებული კითხულობს მამა რეზოს ლექსს.

## პირველი მისი

საქართველო დღეს აივსა ბრწყინვალეებით,

სიხარულით ზოგი ხტის და ზოგი ცეკვავს!

ზოგი დარბის ქრიაშულით!

აქ ბულბულიც დაგვიბრუნდა

მოიტანა ერთამული  
და ბავშვებსაც გაუხარდათ ეს დიდი  
დღესასწაული.  
—ყოჩაღ, რეზიკო, ყოჩაღ!  
—აბა რა, შე ვერ დავეწერ თუ!

\* \*

გათენდა დილა. რეზო გახარებული გარბის  
საბავშვო ბაღისკენ, ჯიბით მიაქვს ორი ძვირ-  
ფასი რამე...

ნეტავ რას შეტყვის მასწავლებელი?  
მოეწონება ჩემი ლექსი?  
რატომ არ უნდა მოეწონოს, ცუდი ლექსია?  
ნეტავ, სხვა ბავშვებს რანაირი ლექსები  
ეკნებათ მოტანილი? იქნებ არაფერიც არ  
მოუტანიათ!

ჩინდლი-მინდლი! ძალიან კარგი ლექსია!  
ფიჭოებს პატარა რეზიკო და მხიარულად  
მიხიჯებს, თანაც წარმოიდგინა კიდევ, როგორ  
იტყვის ლექსს...

„საქართველო დღეს აივსო ბრწყინვა-  
ლებით...“

და თვალები უელავს ცელქ ბიჭუნას.  
—ჩინდლი-მინდლი!—კმაყოფილების ნიშ-  
ნად ხმამაღლა წამოიძახა რეზიკომ.

\* \*

სადილობის დროა. შამა ჯერ არ ჩანს, რეზო  
კი დიდხანა დაბრუნდა და ელის, მოუთმენ-  
ლად ელის მამას,  
აი მამაც!  
ძლივს არ მოვიდა!

—მამა, მამა!—უყვირის ბიჭუნა, და შეშინა  
ლასაც არ აცლის.—შეჯიბრება ჯერ არ გათავ-  
ვებულა! მასწავლებელმა შენი ლექსი დაიწყო  
ის არ ვარგაო, მოკარგულა მინდორ-ველიო  
რომ გიწერია!—რიხინანდ ეუბნება მამას და თავ-  
აღებული შესტყერის ქვევიდან ზევით.

—აბა მაჯობე არა?—ლიმილით უბასუ-  
ხებს მამა.

—ჩემი ოთხი სტრიქონიც დაიწუნა, მაგრამ...  
შენ ხომ ორმოცი წლის ხარ?

—მერე, რა გინდა შენ, მე რამდენი წლი-  
საც ვარ?

—რა მინდა და შენ ორმოცი წლის ხარ,  
მაგრამ თექვსმეტი სტრიქონი დაწერე, მე კი  
შვიდი წლის ვარ, შვიდი სტრიქონი დაწერე.  
მე რომ ორმოცი წლის ვიქნები, ორმოც სტრი-  
ქონს დავეწერ...

მამას გაეცინა და ხელში აიტაცა რეზიკო,  
რომელმაც გახარებულმა დაუყვირა:

—ჩინდლი-მინდლი!  
და მამას აკოცა.

—ჰო, მამა, შეჯიბრება ჯერ არ გათავებულა,  
შენ ჩვენმა ჯგუფმა გამოგვიწვია შეჯიბრებაში—  
ჩვენი ბავშვები დაწერენ მოთხრობას იმის შესახებ,  
მე და შენ რომ ერთმანეთს გავეჯიბრეთ, და  
შენც უნდა დაწერო,—აბა ვინ აჯობებს!

—კარგი, კარგი, შე გიყო!—და ლოყაზე  
ხელი მოუცაცუნა თავის „ჩინდლი-მინდლი“  
ბიჭს.

შ. თაბუკაშვილი.

## ცისარტყელა

წვიმა შეწყდა და ცისკიურს  
გადაეკრა რაღაც ლურჯად.  
რა კარგი და ლამაზია,  
რკალივით, რომ სახე უჩანს.

თითქოს ტყიდან ამოსულა,  
გადაშლილა მთიდან მთამდე,  
ბების რისხვად მიაჩნია  
და ჭორს გეტყვის მისზე რამდენს.

ბების წვიმა უხაროდა,  
შეეცვალა სახე უცებ,  
ნაღვლიანად აღუწილი  
ბუტბუტებს და ზეცას უცქერს.

ამბობს იგი: შეხებთ ყანებს;  
იტყვი, თითქოს არა გვიშავს.  
მაგრამ ცაზე ცისარტყელა  
მოსაწივებს გვაღვის ნიშანს.

და მან უკვე გადასწყვიტა:  
 მოსავლის და ხალხის ბედი;  
 ჩაიქნია ზელი ისე  
 თითქოს გასწყრა „ბენის ღმერთი“.

გუგას უკვირს, ბენის სხე  
 შეეტყვალა ნეტავ რაზე,  
 მაგრამ მაინც ცისარტყელა  
 მან ინატრა მულამ ასე.

ბები გაწყრა და მის ნატვრას,  
 მან უწოდა ქუთა ბრიყვის.

გუგა დინჯალ უბასუბებს;  
 ეს ამბავი მე არ მიკვირს.

რადგან ვიცი, როდესაც შორბს,  
 სადღაც იქით არის თქემი  
 აქ დარი ღვას, და იქ წვიმა  
 ფერადებათ მოჩანს მზეში.

აი, ესეც ცისარტყელა  
 შენ მას აწერ გვალვის ნიშანს,  
 თუნდაც ბები, ასე იყოს  
 ჩვენ ამითაც არა გვიშავს.

სანდრო ჟღენტო.



— დედი, რად არ გამოაღვიძე? — თვალბის ფშენეტით საყვედურობს დედას ნამძინარევი ნუნუ. — ცანცარასთვის გულშინ ბალახის მოგროვება ვერ მოვასწარი.

— არა უშავს, შიმშილით არ მოგიკლავ, — ამშვიდებს დედა.

ცანცარა ნუნუს არაჩვეულებრივ უყვარს, დობილს ეძახის, მისი დედა, საუკეთესო ჯიშის თხა, ნუნუსთვის იყიდეს. მარგებელ რძეს ნუნუ სიამოვნებით მიირთმევდა. ერთ დღეს ტყის პირას იპოვეს ტურისაგან ყვლევაშიღარული დედა თხა. დაობლდენ პატარა მგობრები. ცანცარამ დედა დაკარგა, ნუნუმ — დედობილი. იმ დღიდან ნუნუმ იკისრა კობტა, ნორჩი ბირუტყვის მზრუნველობა. სკოლიდან დაბრუნებული შეასრულებდა დაკისრებულ სამუშაოს და მდინარისკენ ვაზბოდა: ნამარებზე ნორჩ აყლორტილ ბალახს კრეფდა, დობილს საზრდოს უგროვებდა. ცანცარა გრძნობდა მზრუნველის სიყვა-

რულს და თვითონაც მოუთმელნად ელოდა მის სკოლიდან დაბრუნებას, ორლობეს გაჟურებას, კიშკრის ხმაურზე შეტოკდებოდა, ლაპაზ თავს კობტად მოაღერებდა და ბაკიბუკით გაეჭანებოდა; თუ ეზოში ნუნუ შემოვიდოდა, კულის ქნევით და წვერების ცანცარით წინ დაუდგებოდა. თავისებურად ეაღერებოდა ნუნუ, სიყვარულით დაუკოცნიდა თვალბებს; თანაც ხშირად უმეორებდა ნაწყვეტს ძია ილიას ლექსიდან:

„აგერ მოდის ბეცკა,  
 თხა ბეცკა ნაცარა,  
 აგერ მოდის ბეცკა,  
 გიგი, წვერებცანცარა.

— ბაკი-ბუკი, ბაკი-ბუკი, —  
 ფეხებს მოაბაკუნებს,

— კაკი-კუკი კაკი-კუკი —  
 მოდის, მოაკაკუნებს“...

კიშკარში შემოსული თუ სხვა აღმოჩნდებოდა, უკმაყოფილოდ თავდაბრილი გამოპრუნ-

დებოდა. ნუნუს მეგობრებიც იცნობდნენ მას, მოდიოდნენ და ეთამაშებოდნენ. ყველასათვის საყვარელი იყო ნორჩი, კობა პირუტყვი.

წუხდა ნუნუს, რომ სადღეისო საზრდო ვერ მოუვროვა გუშინ. — ნუ წუხარ, შეილო, შენს დობილს მშვიტებს არ დაეტოვებ,— ანუგემა დედამ და ჩანთაში საუბზე ჩაულაგა. ნუნუს ჩვეულებრივად მოეხვია ბეკეკას, თვალეზი დაუკოცნა და სკოლისაკენ გასწია, ცანცარა-კი ფეხების ფრთხილი ბაკუნით მდინარის პირს შეჰყვია. გაიტაცა ნამიანმა ბაღაბმა. ტყეს მიუახლოვდა. გამაძლარი უკან მობრუნებას აპირებდა, რომ მეორე ნაპირას საზარელი რალაცას მოჰქრა თვალი; საზარელი რალაცა ტურა იყო; ის უნდო, წერილი, ბოროტი თვალეზით მოსჩერებოდა მას, შეერთა ცანცარა, ათრთოლდა, საცოდავად აიბურძგლა. გატყევა მოინდომა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა. მზეცმა დაიფთხინა, მდინარეზე ვაღმობტა და ათრთოლებულ თიკანს ყელში ეცა. ზუთი წუთი და ცანცარა გაიგულა. გამარჯვებული მზეცი ხარბად დაეწაფა მსხვერპლის თბილ სისხლს და გული იჯერა.

შუადღე იყო. ნუნუს სკოლადან დაბრუნდა. შემოალო კიშკარი და ვაოცდა: ჩვეულებრივად არ შემოეგება მოლოდინი დობილი. რას ნიშნავს ეს? შეგუბებული სუნთქვით მიიქრა დედასთან. მურაბის ხარშვაში ვართულ დედას მხოლოდ ახლა მოაგონდა საძოვარზე ვაშვებული თიკანი.

— სად არის, დედა, ჩემი ცანცარა? — ეკითხებოდა შეშინებული ბავშვი.

— მდინარის პირას საძოვარად წავიყვანე, ნუ გეშინია, გიგო წაგყევა და მოიყვანთ. ჯერ ისადილე! — ეუბნება დედა.

— არა, ახლავ უნდა მოვიყვანო! — მოუთმენლად მიუგო ნუნუს და მეზობლისს გაიქცა.

— გიგო, შენ გენაცვალე, გამომეყვი, ცანცარა მოვიყვანოთ! — თხოვნით მიმართა ნუნუს მეზობლის ბავშვს. გიგო დაეთანხმა. დაადგენ ეიწრო ბილიკს, რომელიც მდინარის ნაპირს მოჰყვებოდა. ბილიკი ტყეში შედის, იქ-იქ ტურის სორაო. ცანცარას კვალიც იქითკენ მიდის. ბავშვებს შიში იპყრობს. წინმიმავალი გიგო შემკრთალი შედგა. — რა იყო? შეეკითხა ნუნუს, გიგოსაკენ გაქაქანა და ელდა ეცა: ფერდობზე ყელგამოჭრილი დობილი დაინახა. ვაფიორდა, ტურჩები აუთრთოლდა, ხმა ვერ ამოიღო, ფრთი



ღრმად ამოისუნთქა და ცრემლები ლაბალჭიბით გადმოუშვა.

— ჩემი ცანცარა! რაღა მეშველებ? — ყრულ ჩაილაპარაკა და ფერდობზე ავიდა. დაინახა, აუწია თავი სამუდამოდ ვაკიებულ ნორჩ პირუტყვს და ცრემლიანი თვალეზით უსიკაცხლო ღიად დარჩენილ თვალებს მიაჩერა.

— გიგო, შეხედე! თვალეზი ღია აქვს. მიშველე, წავიღოთ სახლში! იქნებ მობრუნდეს, იქნებ ცოცხალია? ექიდება უკანასკნელ იმედს ნუნუს.

— არა, ნუნუს, მკედარია, — უპასუხა გიგომ. ისიც ააღელვა ამ ამბავმა და დაღრეჯილიყო.

— აქ მაინც არ დაეტოვებ! წავიღოთ სახლში ჩემი საყვარელი დობილი, ჩემი ცანცარა! მკედარს მაინც წავართმევე საძველ ტურებს! ცოდოა, გოგი, ჩემი ბეკეკა, წავიღოთ! ემუდარება ნუნუს.

ბავშვებმა ასწიეს მკედარი პირუტყვი, რამდენიმე მანძილი გამოატარეს, მაგრამ ვერ შეძლეს და დროებით ბილიკზე დატოვეს. ნუნუს მიუახლოვდა სახლს თუ არა, ხმამაღლა ღრიალი მოართო. დედა მიხვდა რაში იყო საჭმე შეწყუხდა გადმოდგა ცეცხლიდან მურაბით სასვე ტაშტი და ალღევებული ბავშვი გულში ჩაიკრა. ცდილობდა დაემშვიდებია. ნუნუს დიდხანს ტიროდა სთხოვა დედას ცანცარა ეზოში დაემარხათ. ბევრი ემუდარა დედა, მაგრამ არ ისადილა. ვერც ვაკეთილები მოამზადა. ცრემლები ყელში ებჯინება. თვალწინ საყვარელი პირუტყვი უდგას. კიდევ ვრძნობს ეზოში მას. ხედავს მისი წვერების ცანცარს, ესის ბაკი-ბუკი. დაიდალა. თავი და-

უმძიმდა და ჩაიძინა. ღეღამ თხოვნა აუსრულა  
ცანცარა ეზოში დაბარხეს.

მეორე ღღეს ნუნუმ ჩვეულებრივზე გვიან  
გაიღვიძა. ზანტად წამოადგა. უხალისოდ ჩაიკცა.  
ხელპირი დაიბანა და უჩვეულო წელი ნაბიჯით  
სკოლისაკენ გასწია. შუა გზაზე სკოლის ზარის  
წყარუნე გაიგო. მიხვდა, რომ დაიგვიანა. ისევ  
წელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

გაკვეთილი დაიწყო. ჯგუფისათვის საგრძნო-  
ბი გახდა ნუნუს მიუსვლელობა. ის საუკეთესო  
მოწვევა, დისკობლინითაც მისხაბი. არასოდეს  
არ იგვიანებს. მეორე ჯგუფის სიამაყეს ეძახიან.  
აღბათ ავად არის, — აიღნიშნა მასწავლებელმა,  
როდესაც ამოკითხა და ნუნუ არ იყო.  
დაიწყო გაკვეთილის გამოკითხვა. მოწვევები  
ერთი მეორეს არ აკლიან პასუხს. ფრთხილად  
იღებთ ოთახის კარები გაუბედავი ნაბიჯით შე-  
მოღის გაფითრებული ნუნუ. მასწავლებლისა-  
დმი მისალმება ვერ მოახერხა და შუა ოთახში  
თავდახრილი შეჩერდა. მოულოდნელი იყო ნუ-  
ნუს საქციელი: დაგვიანება და ასე უხალისოდ  
ჯგუფში შემოსვლა. მის სახეზე ყოველთვის სი  
ხალისე და სიხარულია.

— რა მოგივიდა, ნუნუ, რად დაიგვიანე, ან  
გვრე რად გაფითრებულხარ? — აღერსითა და  
მზრუნველობით ეკითხება მასწავლებელი.

ავად ხომ არ ხარ?

ნუნუმ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— კარგი, დაჯექი და შემდეგ მიახმე! — მა-  
სწავლებელი ცდილობდა გაკვეთილის ჩვეულებ-  
რივად ჩატარებას. ცნობისმოყვარე ბავშვებს  
მოუთმენლობა ეტყობოდათ.

დაიწყიალა დასვენების ზარმა. მოწვევების  
მოუთმენლობას საზღვარი დაედო. მთელი ჯგუფი  
ნუნუს მწუხარების მოზიარე გახდა,

— საცოდავი ცანცარა!

— საზიზარო ტურა — გაიძახოდნ ბავშვე-  
ბი. შეთანხმდნენ: სადილოს შემდეგ ცანცარას საფ-  
ლავე ყვავილებით უნდა მოერთოთ, ასეც მო-  
იქცნენ. ნაშუადღევს ეწვიენ ცანცარას საფლავს  
თავგულგზებით და ირგვლივ შემოუხსდნენ. სიჩუმე  
ჩამოვარდა. ენანებოდათ კობტა ბეკეა. სიჩუმე  
ქეთომ დაარღვია:

— გვი, შენი მამა ხომ მონადირეა? ვთხო-  
ვითა შური იძიოს ცანცარას მკვლელებზე.

ქეთოს წინადადება ყველას მოეწონა. მკვებარა  
გვიის მიეცა შემთხვევა მორიგი კვენისა და  
ამაყად წამოიძახა:

— მამაჩემმა გასულ წელს იცით რამოდენა  
ტურა მოკლა? ძროხის ოდენა!

— ტყვი გვი, ტურა ძროხის ოდენა არ  
იზრდება, — შენიშნა ირამ — მე მინახავს, ბიძაჩემმა  
ხუანგი დაუდგა და დაიქირა. სიღიღით საშუა-  
ლო ძაღლის ოდენაა. წითური ბეწვი აქვს ძა-  
ღლსა ჰგავს, მხოლოდ უფრო ჭბელი და წვრილი  
ცხვირი აქვს.

— მეც მინახავს; რა ბოროტი თვალეში  
აქვს, უნდოდ მოელვარე! — დაიძახა გურამმა.

— მე ჩვენ ეზოში ვნახე, წყაროსაკენ ვარ-  
ბოდა; საზიზარმა დედა ინდაური და ათი ქუკი  
დავკეცლა; დედა ინდაური გაიტაცა, ქუკები თავ-  
წაგლეჯილები დატოვა; რამდენი ვიტირე, დამე-  
ნანა ჩემი ქუკები; იცით, რა საძაგელია? შე-  
უძლია, თურმე, ხეზე შემჯდარი ქათამი გადმო-  
ავდოს და გაიტაცოს, — დინჯად დაამთავრა თა-  
ვისი აზრი შალიკომ.

მე დღისით არ მინახავს. ერთხელ ბებომ  
სახლის უკანა კარები გააღო და დაინახე, ყა-  
ნის ბოლოს ცეცხლივით ანათებდა მისი თვალე-  
ბი, ძაღლები მიუსიეთ და გაიქცა. ძაღლების ეში-  
ნია. ღამით გამოვიგონია, რა საზარლად კივიან! —  
დასძინა თამრომ.

ბავშვები რიგრიგობით იგონებდნენ, რაც გა-  
ეგონათ სოფლად ამ მხეცის შესახებ. ბოლოს  
გადაწყვიტეს, ეთხოვათ გვიის მამისთვის, რომ  
ხელევე ეძია შური ცანცარას მკვლელებზე. ყვე-  
ლაზე მეტად ნუნუ შეიპყრო შურისძიების  
გრძნობამ.

— სიკვდილი ბოროტ ტურას! — დაიძახა  
ქეთომ.

— სიკვდილო, სიკვდილი! — იყო პასუხი  
ერთხმად.

ასეთი განაჩენის გამოტანის შემდეგ ბავშვე-  
ბი საქმიანი იერით გამოეთხოვენ ერთიმეორეს  
და დაიშლდნენ.

გვიის მამამ არ დაუცადა მეორე ღღეს, იმ  
სალამოსეც აუსრულა თხოვნა ბავშვებს, შებინდე-  
ბისას დაუძახა ორ მეზობელს; მოამზადეს თო-  
ფები და დაგვიღოა ძაღლებით ტყისაკენ გაეშუ-  
რენ. მიაღვენ სოროს, ბოროტი დამნაშავეს ბი-  
ნას, შეანგრის და შიგ ძაღლები მიუსიეს. მი-

წიდან ყრულ ისმოდა ძაღლების ყეფა. ფეხზე შეყენებული თოფით ელოდენ ტურის გამოხვლას, მაგრამ არ ჩანდა.

— ალბათ, საქურღლიდ არის წასული, — თქვა ერთმა.

— არა, შიგ უნდა იყოს, ძაღლები გაცხარებით ყეფენ, — მიუგო მეორემ. — ცეცხლი შეუთოთ საროს, კვამლი შეაწუბებს და გამოვა — თქვა ვივის მამამ. ასეც მოიქცენ. ძაღლები გამოვიდენ და პატრონებთან ერთად იქვე ახლოს მოეფარენ. სულგანაბულნი უთვალთვალვებდენ ტურის გამოხვლას. ნახევარი საათის შემდეგ იქვე თოფმა. მოისმა საზარელი წმებტუნნი მოკ-

ლეს ცანცარას მკვლეელი. მივიარდენ საროს და გამოათრის ვასისხლიანებული ძუ ტურისა და კარგდროს ჩავაძაღლეთ, ჩქარა ლეკვებს დავერდით, თქვა ერთმა. ძაღლები მსხვერპლს გარს უვლიდენ და სიამოვნებით აქნევდენ კუდს, ცეცხლი დააქრეს, თოფები გადაიკიდეს და ნანადირევით სოფლისაკენ მხიარულად დაეშვენ.

მეორე დღეს ნუნუს ეზოში მისი მეგობრები შემოხვეოდენ მოკლულ მხეცს და ზემობდენ ბოროტი დამნაშავის დასჯას. ნუნუს მწუხარებას ცანცარას მკვლელისადმი სამართლიანი შურისძიება ანელებდა.

მხენი ნინარულიძე.



# ბავშთა შემოქმედებ



## პირველი მაისი

დღეს ტუჩებში დაღის ხალხი, პირველ მაისს ხედება ლხენით, და დროშები გამარჯვების მოაქვთ მუშებს მუშურ რწმენით.

რიკრიგობით მოღის ყველა, ვხედავ ირველივ ღიმილს, ხალისს, გაუმარჯოს ამ ჩვენ ზეიმს, გაუმარჯოს პირველ მაისს!

ნინა ლაიზიფილი.

მე-14 სრული საშუალო სკოლის VIII კლასის მოწაფე.

## „გმირი ჭიანჭველა“

(არაკა)

ერთხელ ჭიანჭველამ დაიკვება: მეც ხომ სულდგმული ვარო, და ადამიანს დაედარა-საბძლიდან ბზით სავსე გოდარის გამოტანა განიზრახა, თანაც ვაიფიქრა: ამ საქციელით ჩემ მოძმე ჭიანჭველებს გავაოცებ და მათზე მეტი სახელოვანი ვიქნებიო. შეუდგა გმირობას: ზურგზე მოიკიდა ბზით სავსე გოდორი და გაუდგა გზას.

ოდა. მის ძალიან გაუყვირა თავისი მეზობელი ჭიანჭველას მოჰქედება.

შებნდეთ, ადამიანის მსგავსად რა ღიდი საქმისთვის მოუყიდებია ხელიო, — ფიქრობდა ის. მეზობელი ღიდი გმირად წარმოუდგა და გულში კიდევ შეშურდა.

გმირმა ჭიანჭველამ რა ეს შეამჩნია, უფრო ამაყად გაიარა, თავი უძლევლად მოაჩვენა. მაგრამ ამ ყოფაში ქვას ფეხი წამოჭრა და ბზიანი გოდორით მიწაზე გაიშლართა. გვერდი ეტყინა.



დაიღრიჯა და ძლიეს წამოდგა. ძლიერ შერცხვა და გაწითლებულმა თქვა:

ვინ მსჯიდა! ბზით საესე გოდრის თრევა რა ჩემი საქმე იყო! არ უნდა მოჰკილა ისეთ საქმეს ხელი, რის შესრულებაც არ შეგიძლია, თორემ

სირცხვილს ჰამ და დაგინებენ, დაკინვა გულს მოგიკლავს. ვისაც ეს არ ესმის, მისაც ჩემებრ დაემართებაო.

მ. ცაღხელიძე

ტფილისის მე-30 სრული საშუალო სკოლის IV კლასის მოწაფე.

## უამინდობა სოფელში

ქარი საზარლად ღმუჯდა,  
არ ჰქონდა თავშესაფარი,  
ტყეში შეიჭრა და ხეებს  
ააყრევინა ფაფარი.

ციდან კი წვიმა შხაბუნა  
შეუწყვეტელად დიოდა,  
სეტყვაც მას მოჰყვა უეცრად  
და ცერის სისხო ცვიოდა.

ყველას ეძინა სახლებში,  
ზოგან სინათლე ბეჭუტავდა,  
სეტყვა კი თავისებურად  
სახურავეებზე ურტყამდა.

ზ. თაგაზიძე

ტფილისის მე-3 საცდელ-სარეზერვუარო სკოლის VII კლასის მოწაფე.

## მელიას თავგადასავალი

მელიამ ერთ დღეს მთელ სოფელს  
შემოუარა გარსაო,  
საკუელი ვერსად იშოვა,  
უსაყვედურა თავსაო.

რაღა ვქნა მე უბედურმა,  
რა უნდა ვკამო დღესაო?  
უნდა ვიარო უმიზნოთ  
და მივაჩერდე მშესაო.

სულ ქოფაკებმა დამლუბეს,  
ეს საქმე მათი ბრალია,  
ბრაზმა დაწყვიტოს ისინი,  
ან და დაუდგესთ თვალთა!

მ. ცაღხელიძე

მე-30 სრ. საშუალო სკოლის IV კლ. მოწაფე.

## გაზაფხული

გაზაფხული მოკურიალებს  
კეკლუცი და შშვენიერი  
შებეთ ავერ ია, ია,  
ჰე, ბიკებო, ჰერი, ჰერი!

საცა არის ყვავილებით  
მოართეება მთა და ველი.  
ფიზლად მოდის გაზაფხული,  
ჰე, ბიკებო, ჰერი, ჰერი!

მ. ცაღხელიძე

მე-14 სრული საშუალო სკოლის VI კლ. მოწაფე.

# წმინდა ღმერთის ჭყავი



(იგავი)

ერთ მონადირეს ბეწვეულობის ვაჭარი შეხედა. უთხრა:— შენ ხომ მონადირე ხარ, ერთი დათვის ტყავი მესაჭიროება და მომიყიდეო.

- ამჟამად არა მაქვსო.
- როდის შევიძლია მომიტანო?
- ერთ კვირაშიო.
- რა ეღირებო?
- ოცი მანეთიო.
- ათს მოგცემო.

თხუთმეტად მორიგდენ.

ვაჭარმა მონადირეს ბედ სამი მანეთი მისცა.

ერთმანეთს ვაშორდენ.

მეორე დღეს მონადირემ თოფი აიღო და ტყისკენ გასწია. გზაში მეზობელი შემოხვდა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა.

მონადირემ მეზობელს მიხანი ვააცნო და უთხრა:

წამო ჩემთან. დათვის ტყავი თხუთმეტ მანეთად გავყიდე. ვატყავებსასა და წამოდებაში მიშეველე, სამ მანეთს მოგცემო.

მეზობელი დაეთანხმა.

იარეს. შევიდენ ტყეში. ენახათ ერთი დათვი გამოხტა. დათვის დანახვაზე მეზობელს შეეშინდა და გაიქცა. მონადირემ მოინდომა თოფის მომარჯვება, მაგრამ ვერ მოასწრო და დათვი დაეჯახა. თოფი ხელიდან გააგდო და შეეცადა თავის დაცვას. გამოცდილი მონადირეებისაგან გაგონილი ჰქონდა: წინააღმდეგობა დათვის უფრო გააბეღებს, საჭიროა თავის მომკვლარუნებაო. მონადირე ეგრეც მოიქცა: მაგარი ტორების ერთი, ორი შემოკვრის შემდეგ ძირს დაეცა და გაინაბა— დათვი დაწყნარდა: ეგონა მოვკალიო. დასარწმუნებლად რამდენიმე მანძილზე მოშორდა.

მეზობელი ამ ამბავს ხეზე ამოფარებული უმზერს... მონადირე არ იძვრის... დათვი ისევ მობრუნდა. მივიდა. ტანზე თათი დაადო და თავი თავთან მიუტანა: დააყურა — ხომ არ გაკაკოხლდაო... მონადირე ვანაბულია. დათვი დარწმუნდა მკვდარიოა და გაშორდა.

დათვი რომ წაიდა, წამოდგა მონადირე და დათვის თათებით დაბეგვილი ადგილები გაისინჯა. დაინახა ეს მეზობელმა, გახარებული მონადირესთან მივიდა, გადარჩენა მიულოცა და ჰკითხა:

დათვი რომ მობრუნდა, ყურში რა ჩავიხურჩულია?


— რაო და ცოცხალი დათვის ტყავი კვლავ აღარ გამყიდიაო...




8. ლოკთათიძე.

# გასაწობები

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
საბავშვო  
საბავშვო



## ვახტანგის ზოოლოგიურ ალბომიდან




თაგვი შიფრინავს.



ზოგო მესაულავე.



ყანა კრავს.




თევზი სისო ზერზი, თევზი ჩაქუჩი.



განდევილი კიბო



ქ კია-კოლგით წვიმაში.



ზარაბუხა მარტორკა.



ზღვის ლომები.



ზოგო მღვსავი.

გადმოკეთებული: გ. სესიკიძის მიერ.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი: ს. ლომთათიძის მიერ)

